

წამებანსა და სხვა სახის არასათანადო
მოკვრობასთან ბრძოლის კუთხით
ბოლო წლების განმავლობაში
საქართველოში არსებული სიტუაციის
მოკლე ანალიზი



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

2017

ბესარიონ ბოხაშვილი

წამებასა და სხვა სახის არასათანადო
მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით
ბოლო წლების განმავლობაში
საქართველოში არსებული სიტუაციის
მოკლე ანალიზი

2017

სარჩევი

I შესავალი.....	1
II. წამებასთან ბრძოლის კუთხით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი მიღწევები 2	
პატიმართა რაოდენობა.....	3
სასჯელალსრულების დაწესებულებებში არსებული პირობები.....	4
ჯანდაცვის სფეროში არსებული გაუმჯობესებები.....	4
III. წამებასთან ბრძოლის კუთხით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი მთავარი ხარვეზები.....	5
მონიტორინგი - პრევენციის ეროვნული მექანიზმი.....	5
სპეციალური ღონისძიებების გამოყენება.....	6
დოკუმენტირება.....	6
წამების აკრძალვის საკანონმდებლო დეფინიცია და საპროცესო შეთანხმება.....	7
მოსამართლის როლი წამების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.....	8
სასჯელალსრულების დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვა და მკურნალობა.....	9
წამების მსხვერპლთა რეაბილიტაცია.....	11
დაკავების/პატიმრობის პირობები.....	11
დაკავებულ პირთა უფლებები.....	13
ალტერნატიული მონიტორინგის მექანიზმი.....	14
IV. წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის გამოძიება.....	16
დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა.....	19
რეკომენდაციები.....	24

I შესავალი

ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ მხარდაჭერილი წინამდებარე მცირე ანგარიში ეხება წამების, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით 2012-2017 წლებში საქართველოში არსებულ მდგომარებას. კვლევა ასახავს იმ პროგრესს, რომელსაც მიაღწია საქართველომ როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკული კუთხით. ამავე დროს კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმ პრობლემებსა და ხარვეზებზე, რომლებიც კვლავაც სახეზეა წამებასთან ბრძოლის კუთხით. კვლევა ძირითადად ეყრდნობა ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ავტორიტეტული საერთაშორისო, რეგიონული და ადგილობრივი საზედამხედველო ორგანიზაციების, ისევე როგორც, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მოხსენებებსა და ანგარიშებს.

კვლევის უწინარესი მიზანია დაინტერესებულ საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია არასათანადო მოპყრობის აკრძალვის კუთხით არსებული სიტუაციის შესახებ. ბოლო წლებში მიღწეული გარკვეული პროგრესის პარალელურად არსებობს სხვადასხვა პრობლემური სფეროები, რომელთა გამოსასწორებლად საჭიროა შესაბამისი მექანიზმების შექმნა. წინამდებარე ანგარიშის მეშვეობით მიმოვიხილავთ არსებულ სიტუაციას და იდენტიფიცირებულ პრობლემებთან დაკავშირებით რეკომენდაციებს წარმოვადგენთ.

2012 წლის სექტემბერში სატელევიზიო ეთერში გასულმა კადრებმა განსაკუთრებული ვნებათაღელვა და რეაქცია გამოიწვია, როგორც ქართულ საზოგადოებაში, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობაში. კადრებზე აღბეჭდილი იყო საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ციხის ადმინისტრაციისა და პერსონალის მიერ პატიმრების მიმართ განხორციელებული წამება, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა. ხსენებული ვიდეო კადრები ნათელი მტკიცებულება გახდა იმ დიდი სისტემური პრობლემების, რომლებიც არსებობდა საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში და რომელთან დაკავშირებითაც ხელისუფლების ყურადღების მიქცევას წლების განმავლობაში დაუინებით ითხოვდნენ, როგორც საქართველოს სახალხო დამცველი, ასევე საერთაშორისო საზედამხედველო ორგანიზაციები, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციები.

ამავე დროს როგორც წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი, ასევე სახალხო დამცველი (პრევენციის ეროვნული მექანიზმი) მუდმივად გამოხატავდნენ შეშფოთებას სასჯელაღსრულების დაწესებულებებსა და

დროებითი მოთავსების იზოლატორებში პატიმრობის პირობებსა და საერთაშორისო სტანდარტებთან მათ შეუსაბამობაზე. პატიმართა რაოდენობა და საკნების გადატვირთულობა¹, პატიმართა ჯანმრთელობაზე არაჯეროვანი ზრუნვა და მკურნალობა განსაკუთრებით ისეთ დაავადებებთან მიმართებით, როგორებიც არის C ჰეპატიტი და ტუბერკულოზი, მრავალჯერ გამხდარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მსჯელობის საგანი². ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მთავრობისათვის მითითებული დროებითი ღონისძიებების მზარდი რაოდენობა (პატიმრობის პირობებთან ან მკურნალობასთან დაკავშირებულ განაცხადებთან მიმართებით), ნათელი ინდიკატორი უნდა ყოფილიყო ხელისუფლებისათვის სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. თუმცა ხსენებული ინდიკატორები, ისევე როგორც სახალხო დამცველის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგის შედეგები და რეკომენდაციები უმეტესწილად უგულებელყოფილ იქნა. აღნიშნულს ემატებოდა ის ფაქტი, რომ არასათანადო მოპყრობის გამოძიების ეფექტურობა თითქმის ნულოვანი იყო. შედეგად სისტემურმა პრობლემებმა აშკარად იჩინა თავი და კულმინაციას მიაღწია 2012 წლის სექტემბერში.

ცნობილი კადრების გასაჯაროებიდან 5 წლის შემდგომ სისტემური რეფორმები, მრავალი მიმართულებით, კვლავ არ განხორციელებულა ჯეროვნად. ხსენებული განსაკუთრებით ეხება ჯეროვანი ინსტიტუციების შექმნას, რომელთა არსებობის შემთხვევაში წამების და არასათანადო მოპყრობის პრევენცია, ჩადენილი ფაქტების ეფექტიანი გამოძიება კონკრეტული ადამიანების კეთილ ნებაზე არ იქნება დამოკიდებული, არამედ თავად ინსტიტუტები განახორციელებენ ხსენებულს, სწორედ აღნიშნული წარმოდგენს არასათანადო მოპყრობის კუთხით არსებული სიტუაციის მთავარ გამოწვევას და წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი იქნება ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებული ანალიზი და არგუმენტაცია.

II. წამებასთან ბრძოლის კუთხით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი მიღწევები

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ არჩეულმა ხელისუფლებამ საჯაროდ განაცხადა მისი ერთ ერთი პრიორიტეტის შესახებ, ეფექტიანად ებრძოლა წამების წინააღმდეგ და ფუნდამენტური ცვლილებები განეხორციელებია სასჯელაღსრულების სფეროში. სახალხო

¹ მონაცემების თანახმად წლების განმავლობაში საქართველო მოწინავე იკავებდა მსოფლიო ქვეყნებს შორის 100 000 მოსახლეზე პატიმრების ოდენობით. 2011 წელს 24114 პატიმარი, 2010 წელს 23 684, 2009 წელს 21239 პატიმარი.

² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეები Poghosyan v. Georgia; Ghavtadze v. Georgia; Makharadze and Sikhariulidze v. Georgia; Ildani v. Georgia; Jeladze v. Georgia; Mindadze v. Georgia;

დამცველი, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს სპეციალური მომხსენებელი, ადამიანის უფლებათა გაეროს უმაღლესი კომისარი ცალსახად ადასტურებენ თავიანთ მოხსენებებსა და ანგარიშებში წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრობის პირობებისა და პატიმრებთან მოპყრობის პოზიტიურ ცვლილებებს. 2013-2016 წლებში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ მიუთითებია საქართველოს მთავრობისათვის არცერთი ღონისძიება, რომელიც ეხებოდა პატიმართა მოპყრობას³.

პატიმართა რაოდენობა

პირველ რიგში ადამიანის უფლებათა ეროვნული და საერთაშორისო საზედამხებელო ორგანოები დადებითად აღნიშნავენ პატიმართა საერთო რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას, რამაც ხელი შეუწყო სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების განტვირთვას⁴. მაშინ როდესაც 2011-2012 წლებში სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში იმყოფებოდა 24114 (2011 წელს) და 19349 (2012), ფართომასშტაბიანი ამნისტიის და შეწყალების, ისევე როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების შედეგად, 2013 წლის ბოლოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დარჩა 9093 პატიმარი. მომდევნო წლების განმავლობაში პატიმართა რაოდენობა მცირეოდენ ცვლილებებს თუ განიცდიდა და მერყეობდა 9-10 ათასი პატიმრის ფარგლებში (2014 წელი - 10372, 2015 წელი - 9716, 2016 წელი - 9334).

წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პატიმართა სიკვდილიანობა. 2013 წელს - 23 პატიმარი, 2014 წელს - 27 პატიმარი, 2015 წელს - 12 პატიმარი⁵, 2016 წელს - 17 პატიმარი⁶

³ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://echr.coe.int/Documents/Stats_art_39_01_ENG.pdf >

⁴ (1) Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 1 to 11 December 2014, CPT/Inf (2015) 42, December 15, 2015. (2) Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia, September 23, 2005, E/CN.4/2006/6/Add.3

⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

< <http://www.moc.gov.ge/images/temp/2016/05/11/f3bcb63287f84369208717a248dc595b.pdf> >

⁶ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

< <http://www.moc.gov.ge/images/temp/2017/06/02/c95a2d57fa8923d18ce3b0aefd39b75f.pdf> >

სასჯელადსრულების დაწესებულებებში არსებული პირობები

ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო ორგანოები დადებითად აფასებდნენ იმ ცვლილებებსა და მცდელობებს, რომლებიც განხორციელდა საქართველოში სასჯელადსრულების დაწესებულებებში არსებული პირობების გამჯობესების კუთხით. განხორციელებული ფართომასშტაბიანი სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების შედეგად, საზედამხებდველო ორგანოების მიერ აღიარებულ იქნა სასჯელადსრულების დაწესებულებების აბსოლუტურ უმრავლესობაში (გარდა მე-7 დაწესებულებისა⁷) არსებული პატიმრობის პირობების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. სათანადო საცხოვრებელი პირობების არარსებობის გამო, დაიხურა სასჯელადსრულების რამოდენიმე დაწესებულება⁸, კაპიტალურად გარემონტდა სასჯელადსრულების დაწესებულებათა უმრავლესობა⁹.

ჯანდაცვის სფეროში არსებული გაუმჯობესებები

მნიშვნელოვნად გაიზარდა დაფინანსება და განსაკუთრებული ძალისხმევა იქნა გაწეული სასჯელადსრულების ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია C ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის შემუშავება და წარმატებით დანერგვა, რის შედეგადაც საქართველოს სასჯელადსრულების სისტემაში გადაიჭრა C ჰეპატიტით დაავადებულ პატიმართა მკურნალობის სისტემური პრობლემა.¹⁰ შემოღებულ იქნა ფსიქოლოგიური მომსახურების კომპონენტი. შემცირდა სიკვდილობის მაჩვენებელი. ცვლილებები შევიდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასჯელისაგან გათავისუფლებისა და განაჩენის აღსრულების გადავადების სამართლებრივ მექანიზმებში.¹¹

⁷ ბოლო 3 წლის განმავლობაში სახალხო დამცველი პარლამენტისათვის წარდგინდა თავის წლიურ ანგარიშებში მუდმივად აძლედა ხელისუფლებას რეკომენდაციას დაეხურა სასჯელადსრულების მე-7 დაწესებულება. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის აზრით მე-7 დაწესებულების ნაწილში არსებული პირობები უთანაბრდება არაადამიანურ პირობებს. სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადების თანახმად, სამინისტრო ამ ეტაპზე ვერ იღებს გადაწყვეტილებას დაწესებულების სრული ლიკვიდაციის შესახებ, თუმცა უახლოეს მომავალში დაწესებულებაში განთავსებული კონტიგენტის მნიშვნელოვნად შემცირებას და მსჯავრდებულების შესაბამისი რისკის დაწესებულებებში გადანაწილებას აპირებს.

⁸ №1 და №4 დაწესებულებები,

⁹ №3 და №16 დაწესებულებები

¹⁰ ხსენებული სისტემური პრობლემა დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პილოტურ გადაწყვეტილებებში Poghosyan v. Georgia (2009) და Ghavtadze v. Georgia (2009)

¹¹ საქართველოს სახალხო დამცველის ეროვნული პრევენციის მექანიზმის წლიური ანგარიშები, 2014-2016 წლები.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა კანონმდებლობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია პატიმრობის შესახებ კოდექსში შესული ცვლილებები, რომლის თანახმადაც საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს დაეკისრა ვალდებულება საქართველოს სახალხო დამცველთან შეთანხმებით მოემზადებინა და დაემტკიცებინა ბრძანება ეროვნული პრევენციის მექანიზმის წევრების მიერ პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების შესახებ. 2016 წლის 1 სექტემბერს ამოქმედებული ეს უფლებამოსილება, მნიშვნელოვნად გაზარდის სახალხო დამცველისა და ეროვნული პრევენციის მექანიზმის შესაძლებლობას მოახდინოს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის ფაქტების იდენტიფიცირება და დოკუმენტირება.

III. წამებასთან ბრძოლის კუთხით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომი მთავარი ხარვეზები

ამ თავში წარმოდგენილი იქნება ყველა ის ძირითადი პრობლემა, რომელიც იდენტიფიცირებულია ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში. მათი წყაროა ყველა შესაბამისი ანგარიში და მოხსენება, რომელიც სხვადასხვა უწყების მიერაა მიღებული.

მონიტორინგი - პრევენციის ეროვნული მექანიზმი

მიუხედავად ხსენებული პოზიტიური ცვლილებისა, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სახალხო დამცველისა და ეროვნული პრევენციის მექანიზმის წევრებისათვის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეო და ელექტრონული საშუალებებით განხორციელებულ ჩანაწერებზე. ხსენებული პრაქტიკა წინააღმდეგობაში მოდის სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე-18 მუხლთან და მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს ადამიანის უფლებების სფეროში მთავარი კონსტიტუციური ორგანოსათვის, ჯეროვნად მიუწვდებოდეს ხელი ყველა იმ ინფორმაციაზე, რომელიც გაუადვილებს მას წამების ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობის ფაქტების იდენტიფიცირებას.¹²

გარდა ამისა, კონკრეტულ პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ როგორც პატიმრობის კოდექსი, ასევე ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ პატიმრებთან სახალხო დამცველის რწმუნებულების შეხვედრას პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია დააკვირდეს ვიზუალურად, ტექნიკური

¹² პრევენციის ეროვნული მექანიზმი ანგარიში N6 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ, 2016, გვ 3, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3808.pdf> >

საშუალებებით დისტანციური დაკვირვებისა და ჩანერის პირობებში, მაგრამ მოსმენის გარეშე.¹³ სსენებულის წინააღმდეგობაში მოდის სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე-19 მუხლთან, ისევე როგორც გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციის დამატებითი ოქმის მე-20 მუხლთან.

სპეციალური ღონისძიებების გამოყენება

წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის, ისევე როგორც სახალხო დამცველის შემოთავაზებას იწვევს პატიმრობის კოდექსში არსებული 'სპეციალური საშუალებების' ფართე ჩამონათვალი და მათი გამოყენების წესებთან დაკავშირებული ბუნდოვანება¹⁴. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი, წამების წინააღმდეგ გაეროს სპეციალური მომხსენებელი და სახალხო დამცველი ასევე მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევენ საპატიმრო დაწესებულებებში პატიმართა სამართლო/დეესკალაციის საკანში მოთავსებას ხანგრძლივი ვადით ან დასჯის მიზნით მათთვის ხელბორკილების დადებას¹⁵. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის აზრით ასეთი ტიპის სრული სოციალური იზოლაცია წარმოადგენს არაადამიანურ მოპყრობას¹⁶.

ლოკუმენტირება

პრობლემურია არასათანადო მოპყრობის ფაქტების დროული და მეთოდური დოკუმენტირება და ექიმის მიერ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოებისთვის პირდაპირ შეტყობინების საკანონმდებლო ვალდებულების არარსებობა. პატიმრისა და ექიმის შეხვედრის დროს ადმინისტრაციის თანამშრომლის დასწრების პრაქტიკა არღვევს სამედიცინო კონფიდენციალურობას.¹⁷

¹³ საქართველოს სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დახურულ დაწესებულებებში (პრევენციის ეროვნული მექანიზმი), 2016, გვ 41. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4585.pdf> >

¹⁴ Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 1 to 11 December 2014, CPT/Inf (2015) 42, December 15, 2015; საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმი, 2015. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე < www.ombudsman.ge/uploads/other/3/3777.pdf >

¹⁵ 2017 წლის 20 ივნისს პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილების თანახმად, დისციპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა 14 დღე, თუმცა სსენებულის ცვლილება ამოქმედდება 2018 წლის 1 იანვრიდან.

¹⁶ Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 1 to 11 December 2014, CPT/Inf (2015) 42, December 15, 2015;

¹⁷ სახალხო დამცველის წლიური ნაგარიშები 2014, 2015 წლები. ეროვნული პრევენციის მექანიზმის წლიური ანგარიშები 2014-2016 წლები.

წამების აკრძალვის საკანონმდებლო დეფინიცია და საპროცესო შეთანხმება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად ნათლად განისაზღვრა, რომ ხანდაზმულობის ვადა არ მოქმედებს წამების ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ დანაშაულებთან მიმართებაში (144¹ – 144³ მუხლები). გამომდინარე წამების აკრძალვის აბსოლუტური ხასიათისა, წამების დანაშაულთან მიმართებაში ხანდაზმულობის ვადის არსებობა, ან სხენებულ საკითხთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობაში ბუნდოვანება დაუშვებელია.

დაუშვებელია ამავე დროს წამების აკრძალვის დანაშაულთან მიმართებაში საპროცესო შეთანხმების გამოყენება იმავე სახით, როგორც სხვა დანაშაულებთან. წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის თანახმად 'შენწყალება/საპროცესო შეთანხმება არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან მიმართებით, რომლებსაც აკისრიათ პასუხისმგებლობა სხვა პირების წამებასთან დაკავშირებით, თუნდაც მათ მიერ სხვა ბრალდებულების წინააღმდეგ ჩვენების მიცემის სანაცვლოდ'¹⁸. ამასვე აღნიშნავს როგორც ადამიანის უფლებათა გაეროს კომიტეტი¹⁹ ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართალი²⁰. თუმცა მიუხედავად ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი საერთაშორისო თუ რეგიონული საზედამხებდველო ორგანოების მიერ დანესებული ამ მკაცრი სტანდარტისა, 2013 წელს პატიმრების წამების საქმეზე დაკავებული 17 პირიდან, ნაწილს - გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, ხოლო ვლადიმერ ბედუკაძეს საერთოდ არ შეფარდებია საპატიმრო სასჯელი.

გასული წლების განმავლობაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში დაზუსტდა კონკრეტული მუხლების დისკრიმინაცია²¹, რამაც ხელი შეუწყო წამების/არასათანადო მოპყრობისა და ცემის დანაშაულების ერთმანეთისაგან გამიჯვნას. თუმცა საქართველოს სახალხო დამცველი²² და წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი²³ ყურადღებას ამახვილებდნენ საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალურ კოდექსში წამების დეფინიციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. გაეროს 1984 წლის წამების

¹⁸ Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia, September 23, 2005, E/CN.4/2006/6/Add.3, პარ 54.

¹⁹ არგენტინასთან დაკავშირებული დასკვნითი კომენტარები - Observations of the Human Rights Committee - Argentina, U.N. Doc. CCPR/C/79/Add.46 (1995), reprinted in U.N. Doc. A/50/40 (1995), პარ 146.

²⁰ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Margus v. Croatia.

²¹ მუხლი 126 ცემა.

²² პრევენციის ეროვნული მექანიზმის წლიური ანგარიშები 2014, 2015, 2016.

²³ Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia, September 23, 2005, E/CN.4/2006/6/Add.3, პარ 15.

სანინალმდეგო კონვენციაში მოცემული წამების კლასიკური დეფინიციისაგან განსხვავებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლში მოცემული დეფინიცია განსხვავდება:

1. წამების სანინალმდეგო კონვენციის 1-ელ მუხლში მოცემული დეფინიციის თანახმად წამება ჩადენილი უნდა იქნეს სპეციალური სუბიექტის მიერ (ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის მიერ, მისი წაქეზებით ან დუმილით გამოხატული თანხმობით). სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ თანახმად წამება შესაძლებელია ჩადენილ იქნეს ნებისმიერი პირის მიერ. ხსენებული მუხლის დისპოზიცია არ მოიაზრებს ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლის მიერ წაქეზებას ან დუმილით გამოხატულ თანხმობას;²⁴
2. წამების სანინალმდეგო კონვენციაში მოცემული წამების კლასიკური განმარტების თანახმად მიზნები, რომლებსაც შეიძლება ემსახურებოდეს ადამიანისათვის განზრახ ძლიერი ტანჯვის მიყენებას ინფორმაციის, მტკიცებულების, აღიარების მოპოვების ან დასჯის მიზნის გარდა, მოიცავს ასევე დისკრიმინაციის საფუძველზე განხორციელებულ ქმედებასაც. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144¹ მუხლის დისპოზიცია დისკრიმინაციას არ მოიაზრებს, როგორც მიზანს.²⁵

მოსამართლის როლი წამების წინალმდეგ ბრძოლის პროცესში

საპროცესო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად გაიზარდა მოსამართლის პასუხისმგებლობა, რომლის თანახმადაც საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას მას დაეკისრა ვალდებულება დარწმუნდეს, რომ საპროცესო შეთანხმება „დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ... გარეშე“²⁶.

თუმცა კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემად რჩება მოქმედი საკანონმდებლო დებულებები, რომლებიც მოსამართლეს არ აძლევს უფლებას კონკრეტული შუამდგომლობის გარეშე მის წინაშე ბრალდებულის პირველად წარდგენისას ან სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე ქმედითი ღონისძიებები განახორციელოს თუკი მას გაუჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული დაექვემდებარა წამებას ან სხვა სახის არასათანადო მოპყრობას. როგორც ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებით დადგენილი პრეცედენტული სამართალი, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური

²⁴ იქვე.

²⁵ ხსენებული მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს.

²⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212 მუხლი (24/07/2014 შესული ცვლილებები)

პაქტის მე-14 მუხლი და მასთან დაკავშირებული იურისპრუდენცია, ნათლად აკისრებს ეროვნულ მოსამართლეებს *ipso facto* ვალდებულებას ჯეროვანი რეაგირება მოახდინონ, ყოველგვარი შუამდგომლობის გარეშე, თუკი შესაბამის პირს ეტყობა არასათანადო მოპყრობის კვალი და მოსამართლეს, როგორც ობიექტურ დამკვირვებელს წარმოეშვა ან უნდა წარმოეშობოდა ეჭვი, რომ პირი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას.

საქართველოს კანონმდებლობაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს მოსამართლის როლი წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მის წინაშე წარდგენისას თუკი მოსამართლეს წარმოეშობა გონივრული ეჭვი, რომ პირი დაექვემდებარა წამებას ან არასათანადო მოპყრობას, მიეცეს მას შესაძლებლობა უბრძანოს შესაბამის ორგანოებს ეფექტიანი გამოძიების წარმოება, განხორციელოს პირის დაცვის ღონისძიებები, სხვა საპატიმრო დაწესებულებაში გადაყვანა, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებული მასალების მისთვის წარდგენა;

სასჯელალსრულების დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვა და მკურნალობა

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული სასჯელალსრულებით დაწესებულებებში ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი, სახალხო დამცველი და წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი დადებითად აფასებდნენ სამედიცინო დეპარტამენტის სრულ რეორგანიზაციას, პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტების განახლებისა და ჯანდაცვის ბიუჯეტის გაზრდას, C ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის მკურნალობის პროგრამების კუთხით მნიშვნელოვან წარმატებას, N5 და N12 პენიტენციურ დაწესებულებებში სამედიცინო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, განხორციელებული სარემონტო სამუშაოებს და შესაბამისი სამედიცინო აპარატურით დაწესებულებების აღჭურვას.

თუმცა ზემოხსენებული საზედამხედველო ორგანოები კვლავაც პრობლემად მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ არსებითი ნაბიჯები არ ყოფილა გადადგმული პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის სამოქალაქო ჯანდაცვასთან სრული ინტეგრაციის კუთხით, რაც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე, შესაბამისი დაზიანებების ჯეროვანად და ზუსტად აღრიცხვაზე. შესაბამის დაწესებულებებში ექიმების და ექთნების რაოდენობა და მათი რეგულარული ვიზიტები დაწესებულებებში კვლავაც არასაკმარისია.²⁷

²⁷ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 და 2016 წლების წლიური ანგარიშის თანახმად პატიმრების რაოდენობის ექიმებისა და ექთნების რაოდენობასთან თანაფარდობა მაღალია N2, N14, N15 და N17 დაწესებულებებში

მართალია განვლილი წლების განმავლობაში მიღებულ იქნა პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირების ახალი წესი მაგრამ, ყველა სამედამხედველო ორგანო (წამების წინააღმდეგ ევროპული კომიტეტი, წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი და სახალხო დამცველი) ერთხმად აცხადებს, რომ დაზიანების აღრიცხვის ახალი წესი არ მოქმედებდა გასული წლების განმავლობაში პრაქტიკაში, ხოლო არსებული პრაქტიკით დაზიანებების აღწერა, ისევე როგორც წინა წლებში, ხარვეზებით მიმდინარეობდა და ვერ უზრუნველყოფდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიან გამოვლენას და დოკუმენტირებას²⁸. არსებული ხარვეზებიდან ერთ ერთ უმნიშვნელოვანესად შეიძლება მივიჩნიოთ ექიმის მიერ პაციენტის/პატიმრის შემოწმება ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თანდასწრებით. სხენებულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა მრავალჯერ ისაუბრა, როგორც პარლამენტის წინაშე წარდგენილ წლიურ, ასევე პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშებში (2014-2016 წლები).

ამავე დროს, სამედამხედველო ორგანოები თანხმდებიან, რომ კვლავ პრობლემად რჩება ექიმის დამოუკიდებლობასა და კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხები, რაც ეჭვქვეშ აყენებს პატიმრების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, ექიმის მიერ დაზიანებების დოკუმენტირებისა და საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების დროს, მის მიუკერძოებლობას.²⁹

2014-2016 წლების განმავლობაში სახალხო დამცველი მუდმივად მიმართავდა ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს რეკომენდაციით, რათა ექიმის მიერ არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში ექიმს დაკისრებოდა ვალდებულება საქართველოს მთავარ პროკურატურაში გაეგზავნა შეტყობინება და მიუხედავად პატიმრის თანხმობის აუცილებლობისა, საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების საკითხზე გადაწყვეტილება მიეღო ექიმს, პატიმრის ინტერესებისა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით³⁰.

²⁸ საქართველოს სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დახურულ დაწესებულებებში (პრევენციის ეროვნული მექანიზმი), 2016.

²⁹ Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia, A/HRC/31/57/Add.3, პარა 92. “დაზიანებების რეგისტრაციასა და დოკუმენტირებასთან დაკავშირებით სპეციალურმა მომხსენებელმა აღმოაჩინა, რომ როგორც წესი, ჩანაწერები არასრულყოფილი იყო და არ მოიცავდა სწორ და სრულ აღწერას, ან ჭრილობისა თუ დაზიანების ფოტოებს, ისევე როგორც შესაძლო მიზეზებს. სპეციალური მომხსენებელი აქვე აღნიშნავს, რომ მხოლოდ ერთ დაწესებულებაში ჰქონდა მთავარ ექიმს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის შემთხვევების ეფექტიანი გამოძიებისა და დოკუმენტირების შესახებ სახელმძღვანელოს (სტამბოლის პროტოკოლი) ეგზემპლარი, რომელიც მისი თქმით პრაქტიკაში არ გამოიყენებოდა.

³⁰ საქართველოს სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებათა მდგომარეობა დახურულ დაწესებულებებში (პრევენციის ეროვნული მექანიზმი), 2016.

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაცია

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაცია წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოზიტიურ ვალდებულებას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია წამების მსხვერპლის დარღვეული უფლებების აღდგენის კუთხით. ბოლო წლების განმავლობაში წამების წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფოს სამოქმედო გეგმ(ებ)ის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შედეგების აღმოფხვრა, მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია, სახელმწიფო პროგრამის შექმნა და შესაბამისი აქტივობების განხორციელება. ხსენებული აქტივობები ასევე მოიცავდნენ წამებას დაქვემდებარებული პირებისათვის ეფექტიანი იურიდიული დახმარებისა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის აღმოჩენას, არსებული კანონმდებლობის ანალიზსა და დახვეწას.

სამწუხაროდ ხსენებულთან მიმართებით ხელისუფლების ორგანოების მიერ არ ყოფილა გადადგმული რაიმე ხელშესახები ნაბიჯი. ამჟამად საქართველოში არ ხორციელდება რაიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს პენიტენციურ დაწესებულებებში წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციას.³¹ მხოლოდ ცალკეული არასამთავრობო ორგანოები შესაბამისი პროექტების ფარგლებში ახორციელებენ წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ აქტივობებს.

დაკავების/პატიმრობის პირობები

როგორც ზემოთ აღინიშნა ადამიანის უფლებათა სფეროში მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო ორგანოები დადებითად აფასებდნენ იმ ცვლილებებსა და მცდელობებს, რომლებიც განხორციელდა საქართველოში დაკავების/პატიმრობის პირობების მნიშვნელოვანი გამჯობების კუთხით. თუმცა ამავე დროს გამოქვეყნებული ანგარიშები ყურადღება გამახვილებულია დაკავების/საპატიმრო დაწესებულებებში დადგენილი მინიმალური სტანდარტის 4² მეტრის დაუცველობაზე³².

საზედამხედველო ორგანოების განცხადებით დროებითი მოთავსების იზოლატორებში და იქ არსებული პირობების გათვალისწინებით დაკავებულ პირთა მცირე ხნით მოთავსება დასაშვებია (მაქსიმუმ 72 საათი), მაგრამ იზოლატორებში არსებული პირობები შეუსაბამოა

³¹ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 წლის წლიური ანგარიში

³² Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 1 to 11 December 2014, CPT/Inf (2015); ეროვნული პრევენციის მექანიზმის 2014-2016 წლების წლიური ანგარიშები.

საერთაშორისო სტანდარტებთან სხენებულზე მეტი ვადით ადამიანთა მოთავსებისათვის, რასაც ხშირად ადგილი აქვს ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული პირის შემთხვევაში³³.

მართალია ზოგადად სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ზოგადად პატიმრებთან მოპყრობის კუთხით სიტუაციის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იქნა დადასტურებული, მაგრამ საზედამხედველო ორგანოები კვლავაც ამახვილებენ თავიანთ ანგარიშებში განსაკუთრებულ ყურადღებას რამოდენიმე სასჯელაღსრულებით დაწესებულებაზე სადაც კვლავაც ხშირია პატიმრების მიმართ გამოყენებული არასათანადო მოპყრობა. ასეთ დაწესებულებათა ჩამონათვალში წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი და სახალხო დამცველი³⁴ მოიხსენებენ გლდანის მე-8 დაწესებულებას, სადაც ახლად შესახლებულ პატიმრებთან მიმართებაში გამოიყენება ე.წ. მისასალმებელი ცემა (welcome beating) და ბათუმის მე-3 დაწესებულება, რომელში ვიზიტის შემდგომაც როგორც წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი, ასევე ეროვნული პრევენციის მექანიზმის წევრები აღნიშნავენ, რომ მიიღეს სანდო და დამაჯერებელი ინფორმაცია განხორციელებულ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.³⁵

გასული წლების განმავლობაში პენიტენციურ დაწესებულებებში სისტემურ ხასიათს ატარებდა პატიმრების განმარტოებით საკანში მოთავსება ხანგრძლივი ვადით და კანონით განსაზღვრული პროცედურის დაცვის გარეშე³⁶. სხენებულ პრობლემაზე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს როგორც წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი, ასევე სახალხო დამცველი. 2017 წლის 20 ივნისს პატიმრობის კოდექსში შესული ცვლილების თანახმად, დისკოპლინური სახდელის სახით სამართლო საკანში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვრა 14 დღე, თუმცა სხენებულ ცვლილება ამოქმედდება მხოლოდ 2018 წლის 1 იანვრიდან. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის განცხადებით სრული

³³ (1) Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 1 to 11 December 2014, CPT/Inf (2015) 42, December 15, 2015, Par 43; (2) Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia, September 23, 2005, E/CN.4/2006/6/Add.3 par 91.

³⁴ განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014 წლის 12 ნოემბრის ინციდენტი, როდესაც ეროვნული პრევენციის მექანიზმის წევრებმა თავად იხილეს ხელბორკილებ დადებულ პატიმრებთან მიმართებით განხორციელებული არასათანადო მოპყრობა ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან

³⁵ Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 1 to 11 December 2014, CPT/Inf (2015) 42, December 15, 2015, გვ 7.

³⁶ სხენებულთან დაკავშირებით იხ. წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის 2015 წლის მოხსენება ისევე როგორც ეროვნული პრევენციის მექანიზმის 2015-2016 წლების წლიური ანგარიშები.

სოციალური იზოლაცია და პატიმრების ხანგრძლივი დროით სამართლო საკანში მოთავსება წარმოადგენს არაადამიანურ მოპყრობას.³⁷

ამავე დროს სახალხო დამცველის აზრით კვლავ გამოწვევად რჩება ის გარემოება, რომ არ არის უზრუნველყოფილი სათანადო ბუნებრივი და ხელოვნური ვენტილაცია, განათება და გათბობა, ასევე არ არის დაცული სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნები. პრობლემურია პატიმრის სეზონის შესაფერისი ტანსაცმლითა და პირადი ჰიგიენის ნივთებით მომარაგება, სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლებით სარგებლობა და სასეირნო ეზოების მოწყობა. N14 და N17 დაწესებულებებში, ბარაკის ტიპის საცხოვრებლებში არ არის უზრუნველყოფილი პრივატული გარემო, მწველი და არამწველი პატიმრები ერთ სივრცეში ცხოვრობენ, რთულია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა და მაღალია ინფექციური დაავადებების გავრცელების რისკი; გარდა ამისა, ასეთი ტიპის საცხოვრებელი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისითაც დამატებით, მნიშვნელოვან გამოწვევებს ქმნის.³⁸

დაკავებულ პირთა უფლებები

2012 წლამდე წამებისა და არასათანადო მოპყრობის კუთხით საქართველოსთვის მთავარი გამოწვევა იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პირობები და პატიმრებთან მიმართებაში განხორციელებული მოპყრობა. 2012 წლის შემდეგ, ხელისუფლების ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პირობების გამოსწორებასა და საპატიმრო დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ პატიმრებისადმი განხორციელებულ მოპყრობას, რადგან სწორედ პენიტენციური დაწესებულებები მიიჩნეოდა არასათანადო მოპყრობის მთავარ ადგილად. მართალია მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა მოხერხდა პენიტენციურ სფეროში, თუმცა 2012 წლის შემდგომ არასათანადო მოპყრობის შესაძლო ფაქტები გახშირდა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ პირთა დაკავებისას ან სამართალდამცავ ორგანოში

³⁷ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2016 წლის წლიური ანგარიშის თანახმად N3 და N6 დაწესებულებებში გამოკითხულ პატიმართა განცხადებით, ფიქსირდებოდა დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან მათი პროვოცირება დისციპლინური სახდლების დაკისრების ან დევსკალაციის ოთახში მოთავსების მიზნით. პატიმრებს აქვთ განცდა, რომ დევსკალაციის საკანებში მათი გადაყვანა ხდება დასჯის მიზნით, მათ მიერ დაწესებულების დებულების დარღვევის შემთხვევაში და არა უსაფრთხოების დაცვის მოსაზრებიდან გამომდინარე. N3 და N6 დაწესებულებებში დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გარკვევა, რომ რიგ შემთხვევებში, დევსკალაციის ყოფნის პერიოდში პატიმარს დისციპლინური სახდელი დაეკისრა.

³⁸ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2015 და 2016 წლების წლიური ანგარიშები

მიყვანის შემდგომ (დროებითი მოთავსების იზოლაციაში შესახებამდე), რის გამოც შესაბამისი საჩივრით მიმართვიანობაც გაზრდილია სახალხო დამცველის აპარატში.³⁹

წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის მიხედვით⁴⁰, საქართველოში ადგილი ჰქონდა ე.წ. გასეირნების პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც პირთა ფორმალურ დაკავებამდე ხდებოდა მათი მოთავსება შესაბამის საპოლიციო ავტოსატრანსპორტო საშუალებაში და მასზე გარკვეული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა პირველი რამდენიმე საათი სასურველი აღიარების/ინფორმაციის მისაღებად. პარალელურად, საქართველოს კანონმდებლობის გარკვეული დებულებების ინტერპრეტირება ისე ხდებოდა, რომ დაკავებული პირის მიყვანა პირველ ეტაპზე სავალდებულოდ უნდა მოხდეს შესაბამის საპოლიციო დაწესებულებაში, სადაც მას პირველად დაკითხავენ და დაკითხვის და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ ხდება დროებითი მოთავსების იზოლაციაში პირის გადაყვანა. როგორც პრაქტიკა აჩვენებს შესაძლო არასათანადო მოპყრობის შესახებ ყველაზე მეტი საჩივარი სწორედ დროებითი მოთავსების დაწესებულებაში პირის მიყვანამდე ხორციელდება.

წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი, სახალხო დამცველი, საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები მაქსიმალურად მოუწოდებენ საქართველოს სახელმწიფოს, რომ დაკავებული პირები მაქსიმალურად მცირე ვადაში იქნან გადაყვანილნი დროებითი მოთავსების იზოლაციაში.⁴¹ იქ შექმნილი შესაბამისი ინფრასტრუქტურა, პირობები და რეგულირებები იძლევა იმის შესაძლებლობას რომ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტები გამოვლინდეს. პარალელურად, აუცილებელია რომ ე.წ. არაფორმალური გასეირნების პრაქტიკა აღმოიფხვრას. ამ პერიოდში პირი პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ არის, მას გადაადგილების თავისუფლება არ აქვს და პარალელურად არანაირი საპროცესო რეგულირება არ მოქმედებს.

ალტერნატიული მონიტორინგის მექანიზმი

საქართველოში დახურული დაწესებულებების მონიტორინგის ერთადერთი გარე მექანიზმი არის საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმი. სხვა

³⁹ საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016, გვ 239.

⁴⁰ Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia, A/HRC/31/57/Add.3. ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით ასევე იხ. ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს მიერ მხარდაჭერილი კვლევა „ექვმიტანითა საპროცესო უფლებები საქართველოში“, 2016. ბესარიონ ბოხაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ირაკლი ცანდაშვილი,

⁴¹ Inter alia, Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia, December 1, 2015, A/HRC/31/57/Add.3, 113.a.

შესაძლებლობას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. ნებისმიერ ექსპერტს, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელს და დაინტერესებულ პირს მხოლოდ და მხოლოდ სახალხო დამცველის სპეციალური რწმუნებულებით აქვს უფლება დააკვირდეს საპატიმრო დაწესებულებას. ერთი შეხედვით აღნიშნული არ არის პრობლემური, მაგრამ სამწუხაროდ საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია არსებობდეს ალტერნატიული მონიტორინგის მექანიზმი სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით:

ა. მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ სახალხო დამცველი არ იყოს პასუხისმგებელი დახურული დაწესებულებების მონიტორინგზე და ეს პასუხისმგებლობა ნაწილდებოდეს სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებზეც. სახალხო დამცველს არ აქვს ამოუწურავი რესურსი და მას არ შეუძლია ყველა დაწესებულების მონიტორინგი პერმანენტულ რეჟიმში. სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ჩართულობა მეტ ეფექტიან კონტროლს უზრუნველყოფს.

ბ. გასულ წლებში დაფიქსირდა გარკვეული შეუთანხმებლობის შემთხვევები საქართველოს სახალხო დამცველსა და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის პრევენციის ეროვნული მექანიზმის დროს საექსპერტო უფლებამოსილების განხორციელებაში. შედეგად მივიღეთ ის, რომ იმ პირებს აღარ აქვთ მონიტორინგის განხორციელების უფლებამოსილება.

გ. სხვადასხვა ორგანიზაციებს აქვთ შესაბამისი სპეციფიკა, საქმიანობის სფერო და გამოცდილება. მნიშვნელოვანია რომ ყველა მათგანს ჰქონდეს პროცესში ჩართვის შესაძლებლობა, რათა კომპლექსური მონიტორინგი და დაკვირვება მოხდეს პროცესზე.

დ. მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია და ავტორიტეტული პირი უსვამს ხაზს იმას, რომ ამ ტიპის მექანიზმი იქნას საქართველოში შექმნილი, აღნიშნულის მიზანია რომ მაქსიმალურად გამოირიყოს შესაძლო არასათანადო მოპყრობა მეტი კონტროლით და პარალელურად მონიტორინგის ინსტიტუციური გამოცდილება ჩამოყალიბდეს ქვეყანაში.

საქართველოში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად საქმიანობენ ალტერნატიული მონიტორინგის მექანიზმის შექმნის მიზნით. ჩატარდა კვლევა, სადაც შეისწავლეს ალტერნატიული მონიტორინგის მექანიზმის რეგულირებები სხვადასხვა ქვეყნებში.⁴² პარალელურად ორგანიზაციებმა წარმოადგინეს კანონის პროექტი, რომლის მიხედვითაც უნდა შეიქმნას შესაბამისი ავტორიზაციის საბჭო და წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე მოხდეს შესაბამისი არასამთავრობო ორგანიზაციების დაშვება

⁴² დემოკრატიისა და უსაფრთხო განვითარების ინსტიტუტი, წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმების სახეები და უფლებამოსილებები, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://idsdge.files.wordpress.com/2016/09/e18399e18395e1839ae18394e18395e18390.pdf> >

შესაბამის დახურულ დაწესებულებებში. კანონპროექტი შეიცავს დეტალურ რეგულირებებს, ავტორიზაციის დაკარგვის შესაძლებლობას და საფუძვლებს, ანგარიშვალდებულებას და სხვა საკითხებს, რომელიც ერთის მხრივ ადამიანის უფლებების დაცვას ისახავს მიზნად, და მეორეს მხრივ სახელმწიფო ინტერესები ჯეროვნად იქნება გარანტირებული.

IV. წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის გამოძიება

მრავალი წელია უკვე საერთაშორისო საზოგადოება შეთანხმდა, რომ არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი პრევენცია მნიშვნელოვანია. მაგრამ ხსენებულის პარალელურად აუცილებელია, რომ ნებისმიერი ადამიანის წამების, ადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტის მიმართ სახელმწიფოს რეაგირება იყოს აუცილებლად მკაცრი. წამების ჩამდენი პირის დაუსჯელობა ყოველთვის ხდება იმის საფუძველი, რომ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ჩაიდენს სამომავლოდ ამ საერთაშორისო დანაშაულს. აუცილებელია ერთის მხრივ მოვხდინოთ წამების ეფექტიანი პრევენცია და მეორეს მხრივ მნიშვნელოვანი და მკაფიო გზავნილი გაეგზავნოს ყველა საჯარო მოხელეს, რომ თუ ისინი ჩაიდენენ არასათანადო მოპყრობას, ამაზე რეაგირება იქნება მკაცრი. 2012 წლამდე საქართველოს ციხეებში არსებული მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ დაუსჯელობის სინდრომი იყო. თითქმის არცერთ ფაქტზე არ ხდებოდა რეაგირება და ყველა შემთხვევა დაუსჯელი რჩებოდა, რაც ახალ-ახალი უკანონო ქმედებების ჩადენის დამატებით წამახალისებელი პირობა იყო.

არასათანადო მოპყრობის გამოძიების კუთხით რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი იმსახურებს ჯეროვან შეფასებასა და ანალიზს. არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის შემთხვევაში:

- რა მუხლით ხდება გამოძიების დაწყება და წარმართვა;
- რა უფლებები აქვს გამოძიების პროცესში შესაძლო მსხვერპლს/დაზარალებულს;
- ვინ არის გამოძიებაზე პასუხისმგებელი;

დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემა საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემას წარმოადგენდა ყოველთვის. სახალხო დამცველისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ მინოდებული ინფორმაციების გამოძიება ხდებოდა თანამდებობრივი უფლებამოსილების გადატეგების მუხლებით და არა იმ ნორმებით, რომლებიც აწესებს პასუხისმგებლობას წამებისთვის, წამების მუქარისთვის და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისთვის. სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიშის მიხედვით, გამოძიების დაწყების შესახებ მათი 10 მიმართვიდან, მხოლოდ 2 შემთხვევაში დაიწყო გამოძიება სპეციალური მუხლით (144³), დანარჩენ შემთხვევაში უფლებამოსილების გადამატების შემთხვევად მიიჩნის

საგამოძიებო ორგანოებმა მიმართვა.⁴³ ეს უკანასკნელი მუხლი სამი ნაწილისგან შედგება და პირველი ორი მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე კატეგორიას. მხოლოდ მესამე შემთხვევა არის მძიმე დანაშაულის კატეგორიაში (მაგრამ არა განსაკუთრებით მძიმე დანაშაული⁴⁴). პარალელურად უფლებამოსილების გადამეტების მუხლების მიმართ არ მოქმედებს არანაირი დამატებითი გარანტია (როგორცაა მაგალითად საპროცესო შეთანხმების გამოყენების შეზღუდვა, ხანდაზმულობის განსაკუთრებული ვადები და სხვა).

დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა ძალიან მნიშვნელოვანია ფაქტორია. ნებისმიერ პირს, რომელსაც გააჩნია პრეტენზია, რომ მის მიმართ განხორციელდა წამება, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა მიმართოს საჩივრით შესაბამის საგამოძიებო ორგანოს და მოითხოვოს გამოძიების დაწყება. პარალელურად მისი ინფორმირება უნდა ხდებოდეს მიმდინარე პროცესის შესახებ და მასვე უნდა ჰქონდეს რეაგირების საშუალება, თუ გამოძიება არაეფექტიანად წარიმართება. 2010 წლიდან, როდესაც ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამოქმედდა საქართველოში, დაზარალებულის უფლებები აშკარად მინიმიზირებული იყო. სრულიად მისასალმებელია 2014 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც დაზარალებულის უფლებების გაზრდას ითვალისწინებს. მათ შორის, მას მიენიჭა უფლება გაასაჩივროს სასამართლოში გამოძიების/სისხლისსამართლებრივი ღვევის შეწყვეტის და სისხლისსამართლებრივი ღვევის არდაწყების ფაქტები. მაგრამ ეს გარანტიები მოქმედებს მაშინ, როდესაც გამოძიება დაიწყება 144¹ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით. სხვა შემთხვევაში არც წამების მუქარა და არც დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის მუხლები არ მიეკუთვნებიან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას და შესაბამისად დაზარალებულის უფლებრივი მდგომარეობა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებით შემოიფარგლება.⁴⁵ ეს დამატებითი გარანტიები ასევე არაეფექტიანია იმ თვალსაზრისით, რომ გამოძიება უმეტესწილად იწყება თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლებით (რაც ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება).

ყველაზე დიდ გამოწვევად საქართველოში რჩება **გამოძიებაზე პასუხისმგებელი უწყების** საკითხი. 2012 წლამდე და შემდეგაც იუსტიციის მინისტრის ერთი და იგივე შინაარსის ბრძანება

⁴³ საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2016, გვ 366, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4494.pdf> >

⁴⁴ შედარებისთვის, წამების სპეციალური მუხლი (144¹) თავისუფლების უვალო აღკვეთასაც ითვალისწინებს.

⁴⁵ ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2016, გვ 10, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://goo.gl/6j6gFd> >.

მოქმედებს და მის მიხედვით პოლიციელის და პროკურატურის მუშაკის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიების უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს პროკურატურას. 2012 წლამდეც ამ უწყებას ჰქონდა ეს უფლებამოსილება და სამწუხაროდ მათ მიერ გამოძიებული დანაშაული და დასჯილ პირთა რიცხვი თითქმის ნულოვანი იყო. მთავარი პრობლემა, რომელიც ამ მიმართულებით არსებობდა იყო ის, რომ არასათანადო მოპყრობა იყო პოლიტიკურ დონეზე მხარდაჭერილი. იქიდან გამომდინარე რომ პროკურატურა პოლიტიკურად ნეიტრალური არ იყო და შეუძლებელი ხდებოდა ამ ტიპის დანაშაულების გამოძიება, შედეგად ვიღებდით სრულ არაეფექტიანობას.⁴⁶ აქედან გამომდინარე, 2012 წლის შემდეგ არაერთმა საერთაშორისო და ადგილობრივმა ორგანიზაციამ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას წამების გამოსაძიებლად შესაბამისი მექანიზმი შეექმნა⁴⁷. ეს მექანიზმი არ უნდა ყოფილიყო პოლიტიკურ ხელისუფლებაზე დამოკიდებული და სრულიად უნდა ჰქონოდა იმის შესაძლებლობა, რომ განეხორციელებინა სრულფასოვანი, ჯეროვანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სისხლისამართლებრივი დევნა და გამოძიება.

საქართველოს პროკურატურას ერთის მხრივ დიდი გამოწვევა აქვს მოსახლეობის ნდობისა და მხარდაჭერის თვალსაზრისით. წარსული გამოცდილება, რომელიც ეფუძნება პოლიტიკურ დამოკიდებულებას და არაეფექტიანობას, აკნინებს მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერის მოპოვების შესაძლებლობას. პარალელურად, უნდა აღინიშნოს პროკურატურის სამართლებრივი რეგულირების არსებული მოდელი. 2015 წელს განხორციელდა ამ ინსტიტუტის სამართლებრივი რეფორმა და იყო მცდელობა მომხდარიყო გარკვეული დისტანცირება იუსტიციის სამინისტროსგან. სამწუხაროდ ეს მცდელობა არ გამოვიდა და ვენეციის კომისიამ პირდაპირ აღნიშნა ამ საკითხთან დაკავშირებით თავის ბოლო მოსაზრებაში, რომ პროკურატურის დეპოლიტიზირება ვერ მოხდა.⁴⁸ განსაკუთრებულად ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ იუსტიციის მინისტრი არის ერთადერთი თანამდებობის პირი, რომელიც უფლებამოსილია წარადგინოს კანდიდატები საპროკურორო საბჭოს წინაშე. ასევე განსაკუთრებულად გაესვა ხაზი იმ ფაქტს, რომ საპროკურორო საბჭოს ფორმირების არსებული წესი ვერ იძლევა დამოუკიდებლობის მყარ გარანტიებს, რაც აზრს უკარგავს ამ

⁴⁶ გავინ სლეიდი, იავო კაჭკაჭიშვილი, ლელა ცისკარიშვილი, ნიკა ჯეირანაშვილი, ნინო გობრონიძე, დანაშაული და გადამეტებული სასჯელი: საქართველოს საპატიმროებში ადამიანის უფლებების დარღვევის მასშტაბი და მიზეზები, 2014, გვ 41. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://www.osgf.ge/files/2015/Publication/Final_Report_-_GEO.pdf >

⁴⁷ თომას ჰამერბერგი (საქართველოს მთავრობის მრჩეველი კონსტიტუციურ და ადამიანის უფლებათა საკითხებზე), ნავი პილაი (ადამიანის უფლებათა გაეროს უმაღლესი კომისარი), ხუან მენდესი (წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი) ადამიანის უფლებათა გაეროს უმაღლესი კომიტეტი (2014 წლის დასკვნითი კომენტარები საქართველოსთან მიმართებით), უნივერსალური პერიოდული მიმხილვის შედეგად საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები (2015-2016).

⁴⁸ Venice Commission, CCPE, OSCE/ODIHR, Joint Opinion on the Draft Amendments to the Law on the Prosecutor's Office, CDL-AD (2015)039.

ორგანოს შექმნის აუცილებლობას. არსებული რეგულირებები, პოლიტიკური გავლენის მოხდენის შესაძლებლობას იძლევა კვლავ და ის რისკები, რაც წამებასთან მიმართებით არსებობდა კვლავ ძალაშია. ამაზე არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად საუბრობენ.⁴⁹

პარალელურად მნიშვნელოვანია აღინიშნოს არსებული საგამოძიებო ორგანოები გამიჯნულნი არიან სრულად თუ არა პოლიტიკისაგან. არასამთავრობო ორგანიზაციები თავიანთ კვლევებში პირდაპირ საუბრობენ იმასთან დაკავშირებით, რომ მაგალითად შინაგან საქმეთა სამინისტროში, მინისტრს აქვს განუზომელი გავლენა რიგითი სამართალდამცველების ყოველდღიურ საქმიანობაზე.⁵⁰ შესაბამისად ნებისმიერი პოლიტიკურად ნახალისებული ძალადობის იმპლემენტაცია სავსებით რეალისტურია და არც შესაბამისი პოლიტიკურად დამოუკიდებელი/ნეიტრალური ინსტიტუცია არსებობს ვინც აღნიშნულს გამოიძიებს.

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის აუცილებლობა

ევროკავშირის სპეციალურმა მრჩეველმა კონსტიტუციური/სამართლებრივი რეფორმებისა და ადამიანის უფლებების საკითხებში, თომას ჰამერბერგმა, პირდაპირ მოუწოდა საქართველოს სახელმწიფოს შეექმნა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსაძიებლად.⁵¹ 2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა გამოაქვეყნა სპეციალური ანგარიში არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების შესახებ, სადაც აღნიშნული იქნა, რომ აუცილებელია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა.⁵² 2005 წელს მანფრედ ნოვაკმა, რომელიც გაეროს სპეციალური მომხსენებელი იყო წამების საკითხებზე, საქართველოს მოუწოდა ამ ტიპის

⁴⁹ კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2015 წლის 28 სექტემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://coalition.ge/index.php?article_id=66&clang=0 >

⁵⁰ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი, პოლიციის ნეიტრალიტეტი პოლიციის სისტემაში, 2016, გვ 65, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < https://emcrights.files.wordpress.com/2016/09/report_political-neutrality-in-police-system-georgian-1.pdf >

⁵¹ Thomas Hammarberg, Georgia in Transition, 2013, გვ 26. ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < http://eeas.europa.eu/archives/delegations/georgia/documents/human_rights_2012/20130920_report_en.pdf >

⁵² საქართველოს სახალხო დამცველი, სპეციალური ანგარიში სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიების პრაქტიკა, საკანონმდებლო რეგულაციები და ეფექტიანი გამოძიების საერთაშორისო სტანდარტები, 2014, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე:

< <http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1702.pdf> >

მექანიზმის შექმნა.⁵³ 2015 წელს იგივე გაიმეორა ხუან მენდესმა, რომელიც იმ დროისთვის იკავებდა გაეროს სპეციალური მომხსენებლის სტატუსს.⁵⁴

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ბოლოდროინდელი საგამოძიებო პრაქტიკა. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, 2014 წლიდან დღემდე არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საქართველოს სახალხო დამცველმა 91-ჯერ მიმართეს არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიების მოთხოვნით. ამ მიმართვიანობის შედეგი ისეთივეა როგორც ეს იყო 2012 წლამდე - მხოლოდ 2 საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და არცერთ საქმეზე არ დამდგარა გამამტყუნებელი განაჩენი რომელიმე პირის მიმართ.⁵⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა სადაც 20-ზე მეტი პრობლემური საქმე მიმოიხილა არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.⁵⁶ ამის საწინააღმდეგოდ საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში საუბრობს, რომ 2016 წელს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 184 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 10 პირის მიმართ.⁵⁷ ასევე საუბარია, რომ 2017 წლის 6 თვეში არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 99 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა - 8 პირის მიმართ. მათ შორის, სსკ-ის 144³ მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური დაწესებულების 7 თანამშრომლის მიმართ, სსკ-ის 333-ე მუხლით (უფლებამოსილების გადამეტება) - პოლიციის 1 თანამშრომლის მიმართ. **სამწუხაროდ ეს მონაცემები უმეტესწილად ასახავს მხოლოდ იმ დანაშაულებს, რომლებიც 2012 წლამდე იქნა ჩადენილი და არა იმ დანაშაულებს, რომლებიც შემდგომ იქნა ჩადენილი. არასამთავრობო ორგანიზაციათა და საქართველოს სახალხო დამცველის სტატისტიკა პირებით ადასტურებს იმას, რომ 2014 წლის შემდეგ ჩადენილი შესაძლო ფაქტების მიმართ პროკურატურას მინიმალური ეფექტურობა აქვს.**

არასათანადო მოპყრობის გამოძიების კუთხით არსებული სიტუაციის გათვალისწინებით არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოითხოვეს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის

⁵³ Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia, September 23, 2005, E/CN.4/2006/6/Add.3

⁵⁴ Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia, December 1, 2015, A/HRC/31/57/Add.3

⁵⁵ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინფოგრაფიკის სახით ვებ-გვერდზე: < <https://goo.gl/UwSWkm> >

⁵⁶ ანგარიში ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < <https://goo.gl/oyBqko> >

⁵⁷ საქართველოს მთავარი პროკურორის ანგარიში, 2017 წლის 19 ივლისი, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < pog.gov.ge/res/docs/angarisi19_07_2017.pdf >

შექმნა და შესაბამისი კანონის პროექტი იქნა შემუშავებული ამ კუთხით.⁵⁸ ხსენებული ორგანოს მანდატი უნდა იყოს ექსკლუზიური იურისდიქციის განხორციელება იმ საქმეებზე, სადაც შესაძლო არასათანადო მოპყრობას აქვს ადგილი ან სადაც პირი გარდაიცვლება. პარალელურად, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმს უნდა ჰქონდეს დამატებითი იურისდიქცია ისეთ საქმეებზე, სადაც ინტერესთა კონფლიქტი წარმოემართა დღეს არსებულ საგამოძიებო ორგანოებს. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისთვის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოში ბრალდების მხარდაჭერის ფუნქციას. შემოთავაზებული მოდელის მიხედვით უწყებაში იქნება ორი დეპარტამენტი, ერთი პასუხისმგებელი იქნება გამოძიებაზე და მეორე სისხლისსამართლებრივ დევნაზე.

კანონპროექტის მიხედვით დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმი იქნება პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული დამოუკიდებელი უწყება. მისი ხელმძღვანელი იქნება პირი (კომისარი), რომელიც აირჩევა ფიქსირებული ვადით. შერჩევის პროცედურები დეტალურად არის განვრილი და უზრუნველყოფილია უმცირესობის მონაწილეობა პროცესში. არჩევის შემდეგ შესაძლებელი იქნება მექანიზმის ხელმძღვანელის გათავისუფლება კანონით დადგენილი საფუძვლების არსებობისას. გათავისუფლება ექვემდებარება სასამართლო კონტროლს საკონსტიტუციო სასამართლოში, მსგავსად საქართველოს პარლამენტის წევრისა. ასევე ამ ინსტიტუციის წარმომადგენლების მიერ ჩადენილი შესაძლო დანაშაულების გამოძიებას მოახდენს საქართველოს მთავარი პროკურატურა და დღეს არსებული სხვა საგამოძიებო სტრუქტურები.

არასამთავრობო ორგანიზაციათა მიერ შემუშავებული კანონის პროექტი დადებითად შეაფასა ევროსაბჭოს ეგიდით მონვეულმა საერთაშორისო ექსპერტმა, წამების საკითხებზე გაეროს ყოფილმა სპეციალურმა მომხსენებელმა მანფრედ ნოვაკმა.⁵⁹ მან კანონის პროექტი მიიჩნია, როგორც „პოლიციის პოლიციის ყველაზე დახვეწილი რეგულირება“.

ამ მოდელის საპირისპიროდ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა კანონის პროექტი, რომლის მიხედვითაც წამების და არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოსაძიებლად საქართველოს მთავარ პროკურატურაში უნდა შეიქმნას ცალკე დეპარტამენტი, რომლის ხელმძღვანელი 6 თვეში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს საპროკურორო საბჭოს გაწეული საქმიანობის შესახებ. ამ დეპარტამენტის უფროსის და

⁵⁸ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: < [http://www.osgf.ge/files/2015/Draft_Law_-_Independent_Investigation_Mechanism_\(GEO\).pdf](http://www.osgf.ge/files/2015/Draft_Law_-_Independent_Investigation_Mechanism_(GEO).pdf) >

⁵⁹ Manfred Nowak, Council of Europe's Expert Opinion on the Model of an Independent Torture Investigative Mechanism, 2015.

თანამდებობის პირების დანიშვნა მოხდება არსებული წესით მთავარი პროკურორის გადაწყვეტილებით. ერთდერთი სიახლეა წარმოდგენილი ამ დეპარტამენტის უფროსის გათავისუფლების სახით, რაც გულისხმობს რომ საჭიროა საპროკურორო საბჭოს თანხმობა და შემდგომ მთავარი პროკურორის გადაწყვეტილება. სხვა შემთხვევაში ამ დეპარტამენტს იგივე უფლებამოსილება აქვს, რაც დღეს არსებულ დეპარტამენტებს გააჩნიათ და არანაირი სიახლე არ არის შემოთავაზებული.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტი არსებობს, რომლის ფუნქცია არის წარსულში ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიება (სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი). საქართველოს ხელისუფლების ჰქონდა მცდელობა, რომ ეს დეპარტამენტი წარმოეჩინა გარკვეულწილად იმგვარ ინსტიტუციად, რომელიც სპეციალურად არასათანადო მოპყრობის ფაქტებს იძიებს. კერძოდ წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტისთვის გადაგზავნილ წერილში, საქართველოს მთავრობა უთითებდა, რომ ამ დეპარტამენტის მიზანი იყო უფრო ეფექტურად გამოეძიო სახელმწიფო მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაულები, *inter alia*, არასათანადო მოპყრობის ფაქტები.⁶⁰ მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო დონეზე სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საგნობრივ იურისდიქციას მიკუთვნებული საქმეები ცალკე არ არის განსაზღვრული და *ad hoc* წესით ხდება მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის მიერ საქმეთა გამოძიების დავალება. ბუნებრივია ამ ტიპის სამართლებრივი მოწესრიგება ვერ იქნება არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური საშუალება.

უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ შემოთავაზებული კანონის პროექტი, ისევე როგორც დღეს არსებული სამართლებრივი ჩარჩო ვერ უზრუნველყოფს იმ გამოწვევებს, რომელიც დღესდღეისობით საქართველოს წინაშეა არასათანადო მოპყრობის გამოძიების კუთხით:

- 1) პრაქტიკული შედეგის თვალსაზრისით დაზარალებულებს კვლავ იგივე უფლებები აქვთ გამოძიების შედეგებზე ზემოქმედების კუთხით;
- 2) სტატისტიკის მიხედვით გამოძიების შედეგობრივი ეფექტურობა მიმდინარე საქმეებზე ისეთივე ნულოვანია, როგორც ეს იყო 2012 წლამდე. მხოლოდ 2012 წლამდე ჩადენილი ფაქტების მიმართ არსებობს პროკურატურის განსაკუთრებული ყურადღება და ეფექტიანობა;

⁶⁰ Response of the Georgian Government to the report of the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) on its visit to Georgia from 1 to 11 December 2014, CPT/Inf (2015) 43

- 3) პროკურატურა ვერ ჩაითვლება მიუკერძოებელ ორგანოდ ინსტიტუციურად, რაც მას მისცემდა საშუალებას ეფექტიანად განეხორციელებინა სისხლისსამართლებრივი გამოძიება და დევნა. **პირველ რიგში** არ შეიძლება არასათანადო მოპყრობის საჩივრები გამოიძიოს იგივე ორგანომ, რომელიც ანარმობებს გამოიძიებს (პროკურატურა ანარმობებს საგამოძიებო საქმიანობას გარკვეულ დანაშაულებთან მიმართებაში და ინტერესთა აშკარა კონფლიქტს ეწინააღმდეგება ადგილი თუკი ერთი და იმავე უწყების კომპეტენციის ქვეშ იქნება როგორც არასათანადო მოპყრობის პოტენციური განმხორციელებელი (გამომძიებელი) და არასათანადო მოპყრობის საგარეულო ფაქტის გამოძიება). **მეორე რიგში** პროკურატურა საქართველოში წარმოადგენს ორგანოს, რომელიც საერთო ზედამხედველობას ახორციელებს სისხლის სამართალწარმოებაზე. შესაბამისად იმ შემთხვევაში თუკი პროკურორი არ/ვერ გაამხივლებს ყურადღებას არასათანადო მოპყრობის აშკარა ნიშნებზე (მაგალითად დაკავებული პირისათვის ბრალის წარდგენისას), შემდგომ სწორედ პროკურატურამ უნდა განიხილოს არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივარი, მათ შორის იმ პროკურორის უმოქმედობის შესახებ, რომელმაც იცოდა ან ობიექტურად უნდა სცოდნობდა/გეგმა წარმოშობდა არასათანადო მოპყრობის შესახებ. **და მესამე რიგში** ორგანო, რომელიც ანარმობებს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულების გამოძიებას, სისხლისსამართალწარმოებაზე ზედამხედველობას და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში, ობიექტურად ვერ იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არასათანადო მოპყრობის საჩივრების გამოძიებისას. არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ჯეროვანი საკანონმდებლო ჩარჩო და ორგანოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა (რა თქმა უნდა შესაბამისი გამოცდილების და პროფესიონალიზმის მქონე პირების მიერ ასეთი გამოძიების წარმართვით);
- 4) სამართალდამცავი უწყებების პოლიტიკისაგან გამიჯვნა - თავად კანონმდებლობიდან და შესაბამისი დებულებებიდან გამომდინარე საქართველოს სამართალდამცავი უწყებები შეიძლება ჩავთვალოთ, რომ არ არიან გამიჯნულნი პოლიტიკისაგან, ხოლო პოლიტიკურ თანამდებობის პირებს აქვთ შესაძლებლობა სრული გავლენა მოახდინონ გამომძიებელთა ყოველდღიურ საქმიანობაზე. შესაბამისად, პოლიტიკურ დონეზე მხარდაჭერილი პოტენციურად უკანონო ქმედება რეაგირების გარეშე დარჩება ყველა შემთხვევაში. ხსენებულიდან გამომდინარე ისევ მივდივართ იმ პრობლემამდე, რომ წამების და არასათანადო მოპყრობის აკრძალვა და პრევენცია ცალკეული თანამდებობის პირების კეთილ ნებაზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ ინსტიტუციური სისტემა არ უნდა იძლეოდეს ხსენებულის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ის მოდელი იქნას დანერგული, რომელიც იქნება დისტანცირებული არსებული საგამოძიებო უწყებებისგან. ეს იქნება ჯეროვანი გარანტია იმისა, რომ პრევენციულად გამოირიცხოს არასათანადო მოპყრობის ფაქტების ჩადენა. ამ მკაფიო გზავნილით, ყველა სამართალდამცველს ეცოდინება რომ მათი ქმედება არ იქნება დაუსჯელი და რომ მათ ვერაფერს დაიყავს უკანონობის ჩადენის შემთხვევაში. პარალელურად, ეს არსებული სამართალდამცველი უწყებების ცნობადობას და რეპუტაციას აამაღლებს საზოგადოებაში. თუკი ეცოდინებათ მოქალაქეებს, რომ პოლიციელებიც მიეცემიან პასუხისგებაში უკანონო ქმედების ჩადენის გამო, ეს მათი საქმიანობის მიმართ ნდობას გააჩენს და მოსახლეობა მეტად განეწყობა თანამშრომლობის სურვილით⁶¹.

რეკომენდაციები

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტმა და აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შემდეგი ღონისძიებები განახორციელონ წამებისა და არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის კუთხით:

- პრევენციის ეროვნულ მექანიზმს მიეცეს დაუბრკოლებელი შესაძლებლობა გაეცნოს ვიდეო და ელექტრონული საშუალებით განხორციელებულ ვიდეო ჩანაწერებს;
- პრევენციის ეროვნული მექანიზმის პატიმრებთან შეხვედრის ვიდეო მეთვალყურეობის არსებული წესი უნდა შეიცვალოს და მიყურადება მხოლოდ მაშინ განხორციელდეს, თუკი პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრი უსაფრთხოებიდან გამომდინარე მოითხოვს აღნიშნულს (მოსმენის გარეშე);
- აღმოიფხვრას კანონმდებლობაში არსებული ბუნდოვანებები პატიმრობის კოდექსით განსაზღვრულ სპეციალურ საშუალებებთან დაკავშირებით;
- აღკვეთილ იქნას პატიმართა სამართლო/დეესკალაციის საკანში ხანგრძლივი ვადით პირთა მოთავსება ან დასჯის მიზნით ხელბორკილების დადება;
- აღკვეთილ იქნას ადმინისტრაციის თანამშრომლების (როგორც წესი/ბლანკეტურად ყველა შემთხვევაში) დასწრება პატიმართა სამედიცინო შემოწმებისას;
- დაზუსტდეს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები, რომლებიც ეხება წამებას და არასათანადო მოპყრობას, რათა აღმოიფხვრას გარკვეული ბუნდოვანებები, გარკვეული გადაფარვები, რომლებიც მუხლებს შორის არსებობს და ასევე დაემატოს კანონს შესაბამისი დებულებები, რომლის მიხედვითაც კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში იქნება წამებასთან;

⁶¹ პოლიციისადმი ნდობის მნიშვნელოვან ზრდას ჰქონდა ადგილი, როდესაც გაერთიანებულ სამეფოში, კანადაში, იამაიკაზე შეიქმნა პოლიციელების მიერ ჩადენილი დანაშაულების საგამოძიებო ორგანოები

- გაიზარდოს მოსამართლის როლი წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით. ბრალდებულის/მსჯავრდებულის მის წინაშე წარდგენისას თუკი მოსამართლეს წარმოეშობა გონივრული ეჭვი, რომ პირი დაექვემდებარა წამებას ან არასათანადო მოპყრობას, მიეცეს მას შესაძლებლობა უბრძანოს შესაბამის ორგანოებს ეფექტიანი გამოძიების წარმოება, განახორციელოს პირის დაცვის ღონისძიებები, სხვა საპატიმრო დაწესებულებაში გადაყვანა, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებული მასალების მისთვის წარდგენა;
- განხორციელდეს/დაჩქარდეს პენიტენციური ჯანდაცვის სისტემის სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში ინტეგრირება;
- წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის მიზნით განხორციელდეს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამები;
- ადმინისტრაციული წესით დაკავებულმა პირებმა პატიმრობა მოიხადონ ისეთ პირობებში, რომლებიც შესაბამისია ხანგრძლივი პატიმრობისათვის;
- აღმოიფხვრას იძულებითი ე.წ. 'გასეირნების' და 'გასაუბრების' პრაქტიკა სისხლის სამართლის პროცესში და ბრალდებულ პირთა დაკავების დროდ მიჩნეულ იქნას ის დრო, როდესაც ხდება გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა;
- სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირები, მაქსიმალურად მცირე ვადაში იქნან გადაყვანილნი დროებითი მოთავსების იზოლატორში;
- შეიქმნას ალტერნატიული მონიტორინგის მექანიზმი სასჯელადსრულების და სხვა დახურული დაწესებულებებისთვის, რომელიც მისცემს საშუალებას არასამთავრობო ორგანიზაციებს განახორციელონ მონიტორინგი და შეფასება;
- გაიზარდოს დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში და არასათანადო მოპყრობის ყველა შემთხვევაში ჰქონდეს მას შესაძლებლობა გაასაჩივროს გამოძიების შეწყვეტის, სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების/შეწყვეტის გადაწყვეტილება და აღნიშნული არ იყოს დამოკიდებული დანაშაულის კვალიფიკაციასთან;
- წამებისა და არასათანადო მოპყრობის გამოძიების მიზნით შეიქმნას სამართალდამცველი უწყებებისგან სტრუქტურულად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი, რომელსაც ექნება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილება;



